

მაგიური გემების ფენომენი „გვიანანტიკურ“ სამყაროში და მისი ანარეკლი
საქართველოში დაფიქსირებულ ძეგლებზე

ნინო სამხარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ჩარკვიანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო სამხარაძე. 29.01.2021.

მადლობა

ვფიქრობ, საკმაოდ დიდი გზა გავიარე აქამდე მოსასვლელად, რომლის წარმატებით გავლაშიც უამრავი ადამიანი დამეხმარა უნივერსიტეტში თუ მის გარეთ.

პირველ რიგში ღრმა პატივიცემით განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორს, ქალბატონ მაია ჩარკვიანს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული და მაძლევდა შესაბამის მითითებებს. მას დიდი წვლილი მიუძღვის არამხოლოდ ჩემი სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით შესრულებაში, არამედ ჩემს პროფესიულად განვითარებაშიც. მისი სწავლების მეთოდი, სტუდენტებთან ურთიერთობა, მისი გამოცდილება ჩემთვის ყოველთვის სამაგალითო იყო. და სწორედ ამიტომ მისი ხელმძღვანელობით დაცვა ნაშრომის ჩემთვის ძალიან დიდი პატივია.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ბატონი თეიმურაზ ჯოჯუას როლიც, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა როგორც ჩემს პროფესიულ, ისე პიროვნულ განვითარებაში. ყოველთვის საამაყო იქნება ჩემთვის მისი სტუდენტობა და როგორც ყველაფერ ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო კეთილი სურვილებისა და რჩევებისათვისაც, რომელიც დამეხმარა აქამდე მოსვლაში.

აგრეთვე მადლობას ვუხდი დედას, ქალბატონ ფატმან გვარუციძეს, რომელიც მუდამ მხარს მიჭერს ყველანაირ წამოწყებში და მის გარეშე ჩემი წარმატება წარმოუდგენელი იქნებოდა. განსაკუთრებით კი მინდა გადავუხადო მადლობა ამ ნაშრომზე მუშაობის პროცესში უწყვეტი მხარდაჭერისა და ხელშეწყობისათვის.

აბსტრაქტი

მაგიური დანიშნულების გლიპტიკის ნიმუშები, რომლებსაც რიგ შემთხვევაში „გნოსტიკურს“ უწოდებენ, ძირითადად I-IV საუკუნეებით თარიღდება. მათზე გამოხატული გამოსახულებები, სიმბოლოები და წარწერები ხშირად ეხება რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობას გნოსტიციზმს, რომელიც იმ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო. წინამდებარე ნაშრომში განხილული მაგიური გემები - ამულეტები მნიშვნელოვანია როგორც მათზე გამოხატული სინკრეტული იკონოგრაფიით, აგრეთვე არსებული ცალკეული სიტყვებითა და წარწერებით.

აღნიშნულ პერიოდში წარმოიშვა უამრავი რელიგიური სექტა, განსაკუთრებით ქრისტიანული, გნოსტიკური და სხვ. სექტები. მაგრამ ამ პერიოდის შესახებ წყროები მწირია, რადგანაც შემდგომში ისინი „ეკლესიის მამებმა“ ერესად მიიჩნიეს და ფაქტობრივად ყველანაირი წერილობითი წყარო გაანადგურეს. გადარჩა ძირითადად ქრისტიანების მიერ ციტირებული ნაწყვეტები გნოსტიკოსების კრიტიკის მიზნით და იშვიათი ხელნაწერები. ამ პერიოდის ქართული წერილობითი წყაროები კი საერთოდ არ მოგვეპოვება, ხოლო სხვა ქვეყნების წყაროები ჩვენი ქვეყნის შესახებ ნაკლებია, შესაბამისად, ყველაზე ინფორმატიული არის არქეოლოგიური ძეგლები, გლიპტიკური მასალა. სწორედ ამიტომ ნაშრომის მიზანია I-IV სს-ის გლიპტიკის ნიმუშების იკონოგრაფიული შესწავლის შედეგად გამოვლენა მაგიური გემების, ავგაროზებისა და აბრასაქსის გამოსახულებიანი საბეჭდავების, სამკურნალო მაგიური გემების, რომლებიც თავის მხრივ ძალიან კარგად აჩვენებენ იმ დროინდელი სამყაროს მოსახლეობის კულტურული დონესა და მათ რწმენა-წარმოდგენებს და კავშირს იმ დროინდელ საქართველოსთან. კვლევა ეყრდნობა უშუალოდ საბეჭდავ გემების, მათ სტილისტურ და იკონოგრაფიულ ანალიზს, ხოლო კვლევის შედეგია მაგიური გემებისა და აბრასაქსების ცალკე ჯგუფად გამოყოფა.

ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც ზოგადად „გვიანანტიკური“ პერიოდის მაგიური გემები და აბრასაქსები, ასევე საქართველოში აღმოჩენილი. ყურადღება

გამახვილებულია გნოსტიკური, სინკრეტული ღვთაებების გამოსახულებიან გემებსა და აბრასაქსების იკონოგრაფიასა და მათ მნიშვნელობაზე. საუბარია გნოსტიციზმზე, მის გავრცელებაზე მსოფლიოში და თუ იყო ეს რელიგიური მიმდინარეობა გავრცელებული საქართველოში.

წინამდებარე ტექსტში საუბარია მაგიური გემების იკონოგრაფიული განსაზღვრის პრობლემაზე, ანუ როგორია სტანდარტული იკონოგრაფია და როგორია არასტანდარტული. როდის არის ერთი შეხედვით მაგიური ნიშნების მატარებელი გემა მაგიური და როდის არა. აგრეთვე წარმოდგენილია კვლევები სხვადასხვა ტიპის მაგიური გემების შესახებ, სამკურნალო მაგიური ქვების იკონოგრაფიასა და დანიშნულებაზე, მაგიური გემების გნოსტიციზმის ნაწილად კლასიფიცირებაზე.

ნაშრომში განსკუთრებული ადგილი ეთმობა წილკანში აღმოჩენილ ამეთვისტოს უნიკალურ ინტალიოს, რომელზე წარწერაც აბრასაქსია, თუმცა შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულია.

წერილობითი წყაროების სიმცირე გადაჭრით დასკვნების გამოტანას ართულებს, თუმცა არსებობს ნივთიერი მასალა, რომელიც მართალია ჩვენთან დიდი რაოდენობით არაა, თუმცა „გვიანანტიკურ“ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული მაგიური გემები და ამულეტები, შესაბამისად ეს მასალაც საკმაოდ ბევრია მსოფლიოს მასშტაბით აღმოჩენილი და შესწავლილი. შესაბამისად გემების იკონოგრაფია მნიშვნელოვანწილად ფენს შუქს „გვიანანტიკური“ პერიოდის სამყაროში არსებულ მაგიურ გემებზე, იმ პერიოდის რელიგიურ მიმდინარეობებსა და ამასთან ერთად საქართველოს პოზიციას დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე და ადგილობრივ ტრადიციათა მყარი საფუძვლების სინთეზს მსოფლიო რელიგიებთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: „გვიანანტიკური“, საბეჭდავი, გემა, აბრასაქსი, ინტალიო.

Abstract

Magical gems, also called Gnostic gems, are dated mainly to the 1st-4th century.

The depictions, symbols and inscriptions on them often refer to Gnosticism, a religious-philosophical current very popular in that period. These kinds of relics, magic stones, amulets discussed in this paper are important both in the syncretic-iconographic images expressed on them, as well as in the words and inscriptions on them.

It was during this period that numerous religious sects emerged. Christian and Gnostic sects are becoming especially popular. but too little is still known about it, „The Church Fathers“ regarded it as heresy. What has survived are mainly excerpts quoted by Christians with the aim of criticising Gnostics, and rare manuscripts. We do not find Georgian historical sources of this period at all, while the sources of other countries are little about our country, therefore the most informative are the archeological movable or immovable monuments, coins and gems. That is why the aim of the work is to reveal the magic gems, Avgarozes and Abraxas images with the help of prints, iconographic studies, which in turn show very well the cultural level of the population of that time and their beliefs and the connection of this culture with Georgia of that period. The research is based directly on the engraved gems, their stylistic and iconographic analysis, and the result of the research is the separation of magic gems and abraxas into a separate group.

The work presents the prints of the late antique period in general, as well as the magic gems and abraxas found in Georgia. The focus is on the ships depicting Gnostic gods, syncretic deities, and the iconography of the Abraxas and their significance. There are talking about Gnosticism, its spread in the world and the traces of Gnosticism in Georgia.

The present text discusses the problem of the iconographic definition of magic gems, i.e. what is standard iconography and what is non-standard. When is a gem with seemingly magical signs a magic stone and when not. There are also studies on different types of magic gems, the iconography and purpose of healing magic stones. Also on the classification of magical stones as part of Gnosticism.

A special place in the work is given to the unique amethyst found in Tsilkani, on which the inscription expresses Abrasax, although the content is completely different.

The scarcity of written sources makes it difficult to draw conclusions from the solution, although there is material material that has been discovered and studied quite a lot worldwide. Accordingly, the iconography of the gems sheds a significant amount of light on the magical gems in the world of late antiquity, the religious currents of that period, as well as Georgia's position at the crossroads of West and East and the synthesis of solid foundations of local traditions with world religions.

Keywords: „late roman“, seal, gem, abrasax, intaglio.